ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 1 (10698) | სამშაბათი, 1 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

# მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის საახალწლო სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, საბჭოთა კავშირის მოქალაქენო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ გილოცავთ მომავალ ახალ წელს!

განვლილი 1956 წელი აღნიშნულია დიდი მიღწევებით ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, მის მშვიდობიან, გმირულ შრომაში. კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით შთაგონებულმა საბჭოთა ადამიანებმა გადაჭარბებით შეასრულეს მრეწველობის წლიური გეგმა, მოიყვანეს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების შესანიშნავი მოსავალი.

ცოტა რამ როდი გაკეთდა გასულ წელს საბჭოთა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მისი კეთილდღეობის ამაღლებისა და კულტურის განუწყვეტელი განვითარებისათვის, აგრეთვე მშრომელთა აქტივობის განვითარებისათვის კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ჩვენ საფუძველი გვაქვს ვამაყობდეთ მიღწეული წარმატებებით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ნაკლოვანებანი და სიძნელენი, რომელთა გადალახვაც ჯერ კიდევ მოგველის ჩვენი გამარჯვებების გზაზე.

განვლილი წელი ფრიად მნიშვნელოვანია საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკით. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ის, რომ გასულ წელს ჩვენს ქვეყანას ეწვია ბევრი მთავრობისა და პარლამენტის დელეგაცია. ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ჩვენთან ერთად იბრძვიან დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სოციალისტური ქვეყნების მთელი ბანაკი. საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და თავისუფლების მძლავრ ბურჯად მიაჩნიათ აზიისა და აფრიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი დამოუკიდებლობისათვის. იზრდება და მტკიცდება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა, რომელიც უკვე მძლავრი ძალა გახდა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს გააფთრებასა და გაბოროტებას იწვევს იმპერიალისტებში, რომლებიც ისწრაფვიან გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება. ისინი თავს დაესხნენ მშვიდობიან ეგვიპტეს და იყვნენ უნგრეთში კონტრრევოლუციური ამბოხების ორგანიზატორები. მაგრამ მშვიდობის ძალები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ. იმპერიალისტთა საშიში ავანტიურები ლიკვიდირებულია.

გამოიტანენ რა გაკვეთილს გასული წლის ამბებიდან, საბჭოთა ხალხი და მშვიდობისა და თავისუფლების ყველა მეგობარი კიდევ უფრო მტკიცედ შეამჭიდროვებენ თავიანთ რიგებს, რათა უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობა და უშიშროება.

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! ჩვენი ქვეყნის ხალხები ახალ წელში შედიან მჭიდროდ დარაზმულნი თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მხნენი და დარწმუნებულნი ჩვენი დიადი საქმის გამარჯვებაში. ერთხელ კიდევ გულითადად ვულოცავ ყველა საბჭოთა ადამიანს, მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, საბჭოთა მეომრებს, ჩვენს ქალებსა და ახალგაზრდობას ახალ, 1957 წელს. სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს შრომაში, სწავლასა და მთელ საქმიანობაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საახალწლო მილოცვას ვუთვლი და ყოველ სიკეთეს ვუსურვებ სოციალისტური ქვეყნების მოძმე ხალხებს, აგრეთვე მსოფლიოს ყველა ხალხს.

გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!



მოსკოვი, კრემლი. სპასკის კოშკი შუაღამისას.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ეგვიპტის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმომადგენელნი მწერალი აბდელ რაჰმან ელ-ჰამისი და ჟურნალისტი ფარუკ ელ-ყადი

29 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ხრუშჩოვმა მიიღო ეგვიპტის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმომადგენელნი ცნობილი პროგრესული მწერალი აბდელ რაჰმან ელ-ჰამისი და გაზეთ „აშ-შააბის“ პოლიტიკური კომენტატორი ფარუკ ელ-ყადი, რომლებიც საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწვევით მოსკოვში იმყოფებიან, და მეგობრული საუბარი ჰქონდა მათთან. (საკდესი).

## ნ. ა. ბულგანინის დეპეშა იტალიის ქალთა ჟურნალ „ნოი დონეს“ რედაქციისადმი

ვულოცავ ჟურნალ „ნოი დონეს“ მკითხველებს და თქვენი ჟურნალის საშუალებით იტალიელ ხალხს მომავალ ახალ წელს. ვუსურვებ თქვენს ჟურნალს ახალ წელს შემდგომ წარმატებებს მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირი მუდამ ესწრაფოდა იტალიასთან მეგობრული ურთიერთობის განვითარებას, ჩვენს ქვეყნებს შორის ფართო ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობას. დაე 1957 წელი საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის წარმატებით განვითარების წელი იქნეს.

სულით და გულით ვუსურვებ იტალიელ ქალებსა და მთელ იტალიელ ხალხს ბედნიერებას ახალ წელს.

## ლიბიის მეფის დეპეშა მის აღმატებულებას კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი, კრემლი.

მადლობით მივიღე თქვენი დეპეშა, რომლითაც გამოთქმულია თქვენი თავაზიანი მოლოცვა და კეთილი სურვილები დამოუკიდებლობის დღესასწაულის გამო.

გულწრფელად გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ, გისურვებთ ბედნიერებას თქვენ და კეთილდღეობას საბჭოთა ხალხს.

**იდრისი.**

ტრიპოლი, 1956 წლის 29 დეკემბერი.

# გამარჯობა, ახალო წელო!

გამარჯობა, ახალო წელო! შენ სიხარული და ბედნიერება მოგაქვს საბჭოთა ადამიანებისათვის და ამიტომ ესოდენ აღელვებით მოგელოდით. კეთილი იყოს შენი მოსვლა!

გავისტუმრეთ 1956 წელი, სახელოვანი წელი — აღსავსე საბჭოთა ხალხის გმირული შრომის შედეგებით.

1956 წელს განეკუთვნება ჩვენი ქვეყნის ისტორიის უშესანიშნავესი ფურცელი — პარტიის XX ყრილობა, რომელმაც დასახა კომუნიზმის მშენებლობის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლის დიადი პროგრამა. მხოლოდ ათი თვე გავიდა ამ ყრილობიდან, და უკვე რამდენი რამ გაკეთდა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის ამაღლების საქმეში! — ორი საათით შემცირდა სამუშაო დღე კვირა და უქმე დღეების წინადღეებში, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის შეუმცირებლად; ძირეულად გაუმჯობესდა საპენსიო უზრუნველყოფის საქმე; მოზარდებისათვის დაწესდა ექვსსაათიანი სამუშაო დღე; მნიშვნელოვნად გაუდიდდათ ხელფასიანი შვებულების ვადა ორსულ ქალებს. პარტია იბრძვის ხალხის ცხოვრების პირობების შემდგომი განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობის განუხრელი ზრდისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების, მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე ხდება.

ყოველ ახალ წელს საბჭოთა ადამიანი ახალ სიმაღლეზე აჰყავს. ამ სიმაღლიდან გასცქერის იგი განვლილ გზას და გული სიამაყის გრძნობით ევსება.

არის საფუძველი ამ სიამაყის გრძნობისათვის. მას ჰბადებს განვლილი წლის შედეგები. კარგად ვიმუშავეთ გასულ წელს. საბჭოთა ხალხმა გადადგა კიდევ ერთი გიგანტური ნაბიჯი წინ — კომუნიზმისაკენ.

დიად საბჭოთა ოჯახში შემავალი საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით იბრძვიან კომუნიზმის მშენებლობის საქმეში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. რესპუბლიკის სამრეწველო წარმოებამ საერთო პროდუქციის გამოშვების 1956 წლის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა. მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული მრავალფეროვან სოფლის მეურნეობაში და კულტურული მშენებლობის ფრონტებზე.

ახალი წლის დღე ტრადიციულად სიხარულის დღეა. აქვს საბაბი საბჭოთა ადამიანს ამ სიხარულისათვის; იგი აწმყოთი კმაყოფილია — პატიოსანი შრომით მონაგარი ყველაფერი აქვს; მომავალი კი მისი სამშობლოს მოწმენდილ ცასავით წმინდა და ნათელია. სწამს და სჯერა ამ მომავლისა.

დღეს დიდი სიხარულის დღეა. და, როდესაც ასწევენ ღვინით სავსე თასებს, საბჭოთა ადამიანების პირველი სიტყვა იქნება — „გაუმარჯოს ახალ წელს!“

გაუმარჯოს ახალ წელს! — ამას რომ ამბობს, საბჭოთა ადამიანი ბევრ, ბევრ რამეს აქსოვს მასში. ეს არ არის ლიტონი სიტყვები, უბრალო წამოძახილი. ამ სიტყვებში ჩანს მომავლის რწმენა, საკუთარი ძალების მობილიზაციის გრძნობა, იმის სურვილი, რომ ეს წელი უკეთესი იყოს, ვიდრე გასული, რომ უფრო იმატოს ადამიანის შრომის ზარაქამ, რომ წელს მეტი ფაბრიკები და ქარხნები, მეტი ელექტროსადგურები და შახტები ჩადგნენ მწყობრში, ვიდრე შარშან, რომ გატეხილ ყამირებში წელს უფრო მეტი სიუხვე შეიქმნას, ვიდრე განვლილ წელს, მეტი საცხოვრებელი სახლები, კლუბები და თეატრები, სკოლები და კულტურის სახლები აშენდეს, ვიდრე შარშან, რომ წელს საკოლმეურნეო სოფელმა მეტი დოვლათი შექმნას, ვიდრე გასულ წელს, რომ წლევანდელმა წელმა შარშანდელს აჯობოს...

ახალმა წელმა აჯობოს ძველს — ეს ჩვენი ცხოვრების კანონია.

დიდი ოქტომბრიდან მოყოლებული ვიდრე დღევანდელ ბედნიერად შემოთენებულ ახალ — 1957 წლამდე ყოველი განვლილი წელი ჩვენს წარმოდგენაში რომ ჩავამწკრივოთ, ისინი თვალწინ დაგვიდგებიან, ვით გოლიათი ჯარისკაცები კომუნიზმისა. დღეს სახელოვანი წარსულის მწყობრში მადლიერების გრძნობით ვისტუმრებთ ამ გოლიათ ჯარისკაცთა შორის ყველაზე უმცროსს — 1956 წელს, და ვეგებებით ახალს.

და ეს ახალი წელიც იქნება მრავალ ახალ გამარჯვებათა წელი კომუნიზმის გზაზე.

გაუმარჯოს ახალ წელს! — როცა ამას წარმოთქვამს, საბჭოთა ადამიანი მისგან განზე არ აყენებს საკუთარ თავს. მან იცის, რომ ეს გამარჯვება მხოლოდ მასების და, მაშასადამე, თავისი შეუპოვარი, თავდადებული შრომით მოიპოვება. ამიტომ, დგას რა იმ სიმაღლეზე, რომელზეც იგი გასულმა წელმა აიყვანა, მხოლოდ განცხრომით როდი გასცქერის განვლილსა და მოპოვებულს. იგი დაკვირვებული თვალით განჭვრეტს იმ გზასაც, რომელიც წელს უნდა განვლოს — შრომის, ბრძოლის, გამარჯვებების გზას.

პროგრამა არის — ბრძოლის, შრომის, გამარჯვებების პროგრამა. ეს ჩვენი პარტიის XX ყრილობის დირექტივებია, ეს მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებია.

გაუმარჯოს ახალ წელსო რომ ამბობს, საბჭოთა ადამიანს ღრმად აქვს შეგნებული მშობლიური კომუნისტური პარტიის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის საკუთარი მოვალეობა. საბჭოთა ადამიანების, მასების შემოქმედებითს ინიციატივას, მათს დიად მოძრაობას წარმართავენ მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

როცა საბჭოთა ადამიანი მის მიერ მოპოვებული ბედნიერებით ტკბება, როცა შემოქმედებითი შრომით აგურს აგურზე ადებს და კომუნიზმის გრანდიოზული შენობის კედლებს ამაღლებს, კაპიტალისტური სამყაროს რეაქციული ძალები ცდილობენ ომის ქარცეცხლში გახვიონ მსოფლიო. მაგრამ ეს ცდა განწირულია. მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის ძლიერი ბანაკი ნებას არ მისცემს იმპერიალისტებს ომის შავი ღრუბლებით დაბნელონ ზეცა.

ჩვენი ცა უღრუბლოა, კრიალა და წმინდა. და მუდამ ასეთი რომ იყოს, ეს არის ყოველი პატიოსანი ადამიანის სწრაფვა.

გაუმარჯოს ახალ წელსო რომ წარმოთქვამს, საბჭოთა ადამიანს ამ სიტყვებში ჩაქსოვილი აქვს ყველაზე სანუკვარი რამ — იყოს მშვიდობა, კვლავაც იფარფატონ მშვიდობის მტრედებმა ჩვენი სამშობლოს უღრუბლო ცის ქვეშ.

კეთილი იყოს შენი მობრძანება, ახალო წელო — მშვიდობის, გამარჯვების, ბედნიერებისა და სიხარულის ახალო წელო!

# ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

## გაზეთ „რუდე პრავოს“ რედაქციის კითხვებზე

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „რუდე პრავოს“ მთავარმა რედაქტორმა ვ. კოუცკიმ სთხოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს ეპასუხნა ზოგიერთ კითხვაზე.

ქვემოთ ქვეყნდება ამხ. ხრუშჩოვის პასუხი ამ კითხვებზე.

**კითხვა:** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დადგენილებანი ნათლად მოწმობენ იმას, რომ ხალხთა მასები საკმაოდ ძლიერნი არიან და შეძლებენ თავიდან აიცილონ ომი და მშვიდობიანი განვითარების პირობებში უზრუნველყონ თავიანთი ბედნიერი მომავალი. კაცობრიობამ გასულ წელს ამ უბანზე უეჭველ წარმატებებს მიაღწია, მოიგერია რა აგრესია ეგვიპტეში და ცდები — აღედგინათ რეაქციული ფაშისტური რეჟიმი უნგრეთში.

როგორია, თქვენი აზრით, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის უახლოესი ამოცანები?

**პასუხი:** გასული 1956 წლის ამბებმა დამაჯერებლად დაგვანახვა, რომ თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლა. ეს ბრძოლა გამოხატავს ხალხთა ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს.

ცნობილია, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების ღონისძიებათა მეოხებით მიღწეულ იქნა საერთაშორისო დაძაბულობის მნიშვნელოვანი შენელება. მაგრამ მოვლენათა ასეთი მსვლელობა აშკარად არ აძლევდა ხელს დასავლეთის სახელმწიფოთა იმ აგრესიულ წრეებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ცივი ომის განგრძობით, ხალხთა შორის სიძულვილის გაღვივებით, რათა კაპიტალისტურმა მონოპოლიებმა უფრო ადვილად განაგრძონ გამალებული შეიარაღება და ამით მიიღონ ზღაპრული მოგება.

სწორედ ამიტომ რეაქცია დაადგა იმ გზას, რომ გაერთულებინა საერთაშორისო ვითარება. ეს გამოიხატა ინგლისელ, ფრანგ და ისრაელ აგრესორთა თავდასხმით ეგვიპტეზე და უნგრეთის სახალხო-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ კონტრრევოლუციური, ფაშისტური შეთქმულებით. ამრიგად, ერთბაშად მკვეთრად გაძლიერდა ახალი მსოფლიო ომის საფრთხე. მაგრამ ჩაიფუშა როგორც ერთი, ისე მეორე ავანტიურა.

რატომ ვერ განახორციელეს იმპერიალისტებმა თავიანთი გეგმები? უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ძალები, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან, ახლა საკმაოდ ძლიერნი არიან და შეძლებენ ალაგმონ ის ავანტიურისტები, რომლებსაც თავიანთი ანგარებითი მიზნით სურთ თავს დაატეხონ ხალხებს ახალი ომის უბედურებანი.

ახლა ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ იმპერიალისტების ყოველ ცდას გააჩაღონ ომი, რეაქციის ძალების ყოველ ცდას ხელყონ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მონაპოვარნი ხალხები ჯეროვან წინააღმდეგობას გაუწევენ.

გასული წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი ის არის, რომ საჭიროა გავაძლიეროთ ხალხთა სიფხიზლე იმპერიალისტი აგრესორების ხრიკების წინააღმდეგ, მტკიცედ გავაჩაღოთ ბრძოლა მშვიდობისათვის. ეჭვი არ არის, რომ მომავალ 1957 წელს მშვიდობის ძალები კიდევ უფრო განმტკიცდებიან და ეს მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, ჩემი აზრით, ახლა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას. გამალებული შეიარაღების შეწყვეტა ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ნდობის განმტკიცებას, ხოლო იმ უდიდესი ხარჯების შემცირება, რომლებიც შეიარაღებას ხმარდება, გამოიწვევდა ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საბჭოთა მთავრობამ არაერთხელ გამოიჩინა ინიციატივა და შეიტანა კონსტრუქციული წინადადებანი განიარაღების საკითხის შესახებ. უფრო მეტიც: საბჭოთა კავშირმა ამ მიმართულებით განახორციელა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, მნიშვნელოვნად შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები. მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში აქტიურ როლს ასრულებენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ყველა სოციალისტური ქვეყანა.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის სერიოზული მნიშვნელობა ექნებოდა ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას, რაც უდავოდ ყველა ხალხის ცხოვრების ინტერესების შესაბამისი იქნებოდა, რამდენადაც ასეთი სისტემის შექმნა უზრუნველყოფდა მშვიდობის შენარჩუნებას.

თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ყოველი ღონისძიებით განვითარება დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო და არის ხალხებს შორის მეტი ნდობისა და ურთიერთგაგების დამყარების საქმეში. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა და მხარს უჭერს ფართო, დაუბრკოლებელ ეკონომიურ თანამშრომლობას ყველა ქვეყანასთან, თანამშრომლობას, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან, კულტურული ურთიერთობის გაფართოებას.

ასეთია, ჩემი აზრით, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის ზოგიერთი პრობლემა.

**კითხვა:** ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხი წელს აღნიშნავს დიდ დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავს. ეს დღე მოაგონებს კომუნისტურ და მუშათა პარტიებს იმას, რომ ისინი კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმონ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ, რომ კიდევ უფრო შეუპოვრად იბრძოლონ მუშათა კლასის მტკიცე საერთაშორისო ერთიანობის შექმნისათვის.

რა მიგაჩნიათ ყველაზე საჭიროდ ამ მიზნის განხორციელებისათვის?

**პასუხი:** 1917 წლის ოქტომბერში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, მშრომელებმა დიდი ლენინის, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით მოსპეს კაპიტალისტური წყობილება, შექმნეს მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო. ახალი საზოგადოების მშენებლობის გზაზე უდიდესი სიძნელეები იყო. მაგრამ საბჭოთა ხალხმა დაძლია ისინი და ააშენა სოციალიზმი.

სრული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ 1917 წლის შემდეგ მთელი საერთაშორისო განვითარება, ხალხების სვლა პროგრესის გზაზე მიმდინარეობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით.

სსრ კავშირის ხალხების შემდეგ სოციალიზმის გზას დაადგნენ დიდი ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიის და ევროპისა და აზიის მთელი რიგი სხვა ქვეყნების ხალხები. შეიქმნა, მტკიცდება და ვითარდება დიადი თანამეგობრობა სოციალისტური ქვეყნებისა, რომლებიც მსოფლიო სოციალისტურ სისტემას შეადგენენ. ამ ქვეყნებში წამყვანი და წარმმართველი ძალაა კომუნისტური და მუშათა პარტიები.

მუშათა კლასის გამარჯვებანი, მშრომელთა გამარჯვებანი საბჭოთა კავშირსა და ყველა სოციალისტურ ქვეყანაში მოპოვებულ იქნა იმის მეოხებით, რომ ამ ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები თავიანთ მოღვაწეობაში განუხრელად ხელმძღვანელობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, პროლეტარიატის ერთადერთი სწორი მოძღვრებით.

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით ეწევიან შეურიგებელ ბრძოლას მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა საქმისათვის საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიები.

სწორედ ამიტომ სოციალიზმის მტრები თავიანთ ცეცხლს მიმართავენ რევოლუციური პარტიების წინააღმდეგ და უწინარეს ყოვლისა იმ ქვეყნების პარტიების წინააღმდეგ, სადაც მუშათა კლასმა გაიმარჯვა და თავისი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება დაამყარა, სადაც სოციალიზმი შენდება ან აშენდა.

რა ვერაგულ ხერხებს არ მიმართავენ მუშათა კლასის მტრები, რომ განხეთქილება შეიტანონ კომუნისტურ მოძრაობაში, შეარყიონ კომუნისტური და მუშათა პარტიების რიგების ერთიანობა! განსაკუთრებით ფართოდ უწევენ რეკლამას ეგრეთწოდებული „ეროვნული კომუნიზმის“ იდეებს, რეკლამას უწევენ ცალკე ქვეყნებში სოციალიზმისაკენ განვითარების ეროვნული თავისებურებებისადმი იმის დაპირდაპირებას, რასაც საყოველთაო მნიშვნელობა აქვს, რაც ოქტომბრის რევოლუციამ მოგვცა და რაც აუცილებლად საჭიროა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე წარმატებით გადასვლისათვის. რა თქმა უნდა, თვითეულ ქვეყანაში არის ეროვნული და ისტორიული პირობებით განპირობებული თავისებურებანი პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის ბრძოლაში და სოციალიზმის მშენებლობაში, მაგრამ როგორიც უნდა იყოს ეს თავისებურებანი, ისინი როდი აუქმებენ სოციალისტური რევოლუციის ძირითად კანონზომიერებებს. ცალმხრივი მიდგომა, ეროვნული თავისებურების, ამა თუ იმ ქვეყანაში სოციალიზმისაკენ წინსვლის „განსაკუთრებული გზების“ წინწამოწევა ზიანს აყენებს როგორც მოცემული ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საქმეს, ისე სოციალისტური ქვეყნების მთელ თანამეგობრობას.

ამოცანა ის არის, რომ გავაძლიეროთ სიფხიზლე სოციალიზმის მტრების ხრიკებისადმი, მტკიცე წინააღმდეგობა გავუწიოთ ყოველ ცდას — ძირი გამოუთხარონ მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობას. საჭიროა ფხიზელნი ვიყოთ აგრეთვე იმათ მიმართ, ვინც მეგობრის ნიღბით, სოციალიზმისათვის ბრძოლის ალმით მუშაობას ეწევა სოციალისტური რიგების გასათიშავად, რითაც, სურს თუ არ სურს ეს, სამსახურს უწევს იმპერიალისტებს, რომლებიც ცდილობენ მოახდინონ რევოლუციური ძალების დეზორგანიზაცია.

ჩვენ უნდა გავიმსჭვალოთ ისტორიული პასუხისმგებლობის გრძნობით და დავრაზმოთ ძალები კომუნისტური და მუშათა პარტიების განსამტკიცებლად, ჩვენი რიგების პროლეტარული სოლიდარობისა და ერთიანობის განსამტკიცებლად, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის რიგების დასარაზმავად, ერთგული ვიყოთ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა, საბრძოლო მოწოდებისა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

## გაზეთ „რუდე პრავოს“ რედაქციის კითხვებზე

(დასასრული)

კითხვა: ამასწინანდელმა ამბებმა კვლავ გაუსვა ხაზი იმას, რომ საერთო სოციალისტური ბანაკის ქვეყნების [illegible] 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაციაში.

როგორია, თქვენი აზრით, 1957 წელს ამ თანამშრომლობის განმტკიცების მთავარი ამოცანები?

პასუხი: [illegible]

[illegible]

კითხვა: [illegible]

პასუხი: საბჭოთა ადამიანები [illegible]

[illegible] ნელენი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ ბევრი რამ ისწავლონ ჩეხოსლოვაკიის მშრომელებისაგან, რომლებსაც ბევრი თვალსაჩინო მიღწევა აქვთ თავიანთი სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში.

ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებმა მზრუნველად უნდა დაიცვან და ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ თავიანთი მეგობრობა, დაიცვან იგი მტრების ხრიკებისაგან. ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ გერმანელი მილიტარისტები გულში ატარებენ რევანშისტულ გეგმებს, ამზადებენ ძალებს ახალი საომარი ავანტიურებისათვის ჩვენი ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ, ევროპის ხალხთა წინააღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის ხალხებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა ხალხი მუდამ მათი გულწრფელი და საიმედო მეგობარი იქნება.

ნება მიბოძეთ, ამხანაგო რედაქტორო, ვუსურვო მებრძოლი გაზეთის „რუდე პრავოს“ მკითხველებს, მოძმე ჩეხოსლოვაკიის შრომისმოყვარე და ნიჭიერ ხალხებს, ჩეხოსლოვაკიის სახელოვან კომუნისტურ პარტიას წარმატებანი თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო ამხანაგებო!

# ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

## გაზეთ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტის კითხვაზე

ფრანგული გაზეთის „ლუმანიტეს“ კორესპონდენტმა მოსკოვში პ. ენტჟესმა მიმართა ამხანაგ ხრუშჩოვს კითხვით: „რას უსურვებთ ფრანგ მშრომელებს ახალი წლისათვის?“

ქვემოთ ქვეყნდება ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი.

ახალი წლის დღეს მსურს საუკეთესო სურვილები გადავცე თქვენი მებრძოლი გაზეთის მეშვეობით საფრანგეთის მშრომელებსა და მთელ ფრანგ ხალხს.

საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხებს აერთიანებს მეგობრობის ტრადიციული კავშირი, რომელიც განმტკიცებულია საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით ორ მსოფლიო ომში. ახლა, როცა გერმანელმა მილიტარისტებმა კვლავ წამოყვეს თავი, ქმნიან თავიანთ არმიას, ემზადებიან ახალი საომარი ავანტიურებისათვის, ჩვენი ქვეყნის ხალხებმა კიდევ უფრო უნდა გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი როგორც ევროპის, ისე მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხი განიცდის ღრმა ძმური სოლიდარობის გრძნობას საფრანგეთის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელისადმი, რომელნიც მამაცურად იბრძვიან მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, საფრანგეთის უკეთესი მომავლისათვის. ფრანგმა მშრომელებმა არაერთხელ დაგვანახვეს რეაქციისა და ფაშიზმის ბნელი ძალებისათვის მტკიცე წინააღმდეგობის გაწევის მაგალითი, რითაც გამოიწვიეს მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის აღტაცება. საფრანგეთის მუშათა კლასი, რომელიც ერთგულად იცავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებას, თავისი ნაცადი ხელმძღვანელის — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მეთაურობით, ყოველთვის იყო და არის თავისუფლებისა და სოციალიზმის იდეებისათვის მებრძოლთა ავანგარდში.

მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ საფრანგეთის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, მოწინავე ინტელიგენცია, ყველა დემოკრატი, გააერთიანებენ რა თავიანთ ღონისძიებებს, მომავალ წელს მიაღწევენ წარმატებებს ახალი დამანგრეველი ომის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, თავიანთი სამშობლოს სოციალური პროგრესისა და ეროვნული სიდიადისათვის ბრძოლაში. საფრანგეთის მშრომელებს საბჭოთა კავშირის ხალხთა სახით ყოველთვის ეყოლებათ ყველაზე ერთგული მეგობრები.

დაე 1957 წელი იყოს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების წელი!

გისურვებთ ბედნიერებას ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო!

# ახალ წელს თბილისში ხვდებიან

ყოველი ადამიანი ისწრაფვის, რომ ახალი წელი თავის ოჯახში გაატაროს. თქვენ, ჩვენო მეგობრებო, გული ხომ არა გწყდებათ, რომ ახალ, 1957 წელს თქვენი სამშობლოდან მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებულ ქალაქში ხვდებით? არა, ეს თქვენ არ გემჩნევათ. პირიქით, ღიმილით გაჰყურებთ თბილისს. თქვენს მოღიმარ სახეებზე ადამიანი მხოლოდ ბედნიერებასა და სიხარულს ამოიკითხავს. აი რას ნიშნავს ხალხთა შორის მეგობრობა. თუ არა მეგობრობა, მიზნების ერთიანობა, სხვა რა აკავშირებს მათ, ჩინელებსა და ჩეხებს, ბულგარელებსა და ალბანელებს, რუმინელებსა და კორეელებს მოძმე საბჭოთა ადამიანებთან?!

აი სურათზე ჩვენი ჩინელი და ჩეხი მეგობრები, მათ ერთმანეთი ტელეგრაფში გაიცნეს, როცა საახალწლო დეპეშებს უგზავნიდნენ თავიანთ ახლობლებს. ძიან ჯი-ძი და ვან ხუნ-ძიუნი საბჭოთა კავშირში ამ ერთი თვის წინათ ჩამოვიდნენ სახალხო ჩინეთიდან კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ისინი თბილისის ლოკომოტივშემკეთებელ ქარხანაში მიავლინეს. სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. ჩინელი მეგობრები აღაფრთოვანა საბჭოთა ადამიანების სტუმართმოყვარეობამ, მათზე მზრუნველობამ.

— ჩვენ აღტაცებული ვართ იმ მზრუნველობითა და მეგობრობით, რომლითაც აქ დაგვხვდნენ, — ეუბნება ჯუჯოუს ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის მთავარი მექანიკოსისა და მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილების უფროსი, ინჟინერი ძიან ჯი-ძი ჩეხ მეგობრებს — მიროსლავ კოლაჩსა და ვერა პაზოურკოვას. არის ასეთი ჩინური თქმულება: „ვინ არის შენი საუკეთესო მეგობარი! — შეეკითხნენ ბრძენს. მან უპასუხა: — ჩემი საუკეთესო მეგობარია ის, ვინც ჩემი ხალხის საუკეთესო მეგობარია“. ჩვენ სწორედ აქ, საბჭოეთში, ვგრძნობთ ამ გულითად მეგობრობასა და დიდ სიყვარულს ჩვენი ხალხისადმი.

ჩეხებს ჩინელი ამხანაგების გულწრფელი სიტყვები არ გაჰკვირვებიათ. განა ამასვე არ გრძნობენ ისინი 1954 წლიდან, როდესაც პირველად ჩამოვიდნენ თბილისში სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე სასწავლებლად? მრავალი ერის წარმომადგენლებს — ქართველებს, რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, პოლონელებს, კორეელებს და სხვ. — შეხვდნენ უნივერსიტეტში ვერა და მიროსლავი. ისინი სწავლობენ, ცხოვრობენ ამხანაგურად, მეგობრულად.

მალე ისინი დაუბრუნდებიან სამშობლოს, ჩაებმებიან იმ დიდ შემოქმედებით შრომაში, რომელსაც მათი ხალხები ეწევიან სოციალიზმის მშენებლობისათვის. ისინი სათუთად შეინახავენ ალბათ ამ სურათსაც, რომელიც მათ მოაგონებს საბჭოთა კავშირში გატარებულ ტკბილ დღეებს.

* * *



სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ვან ხუნ-ძიუნი, ვერა პაზოურკოვა, მიროსლავ კოლაჩი, ძიან ჯი-ძი თბილისის სანაპიროზე.

ალიო მირცხულავა

## მრავალ ახალ წელს, მრავალჟამიერ!

მზეს ალმაფრენით შეხვდნენ ფრთოსნები,
ჟივილ-ხივილით სხივებს კოცნიან,
კრემლის გუმბათებს ვეტრფით ოცნებით,
ვაშა ახალ წელს! მოგვილოცნია!

ლხენით, სიმღერით ვხვდებით ახალ წელს,
მექვლე, მეგზური ზამთრის ქარია,
გზა მშვიდობისა იმ წელს, შარშანდელს,
ვხვდებით ახალ წელს და გვიხარია!

დაე მშვიდობა იყოს ამიერ,
მზეში ბრწყინავდეს ეს დრო, ეს წელი,
მრავალ ახალ წელს, მრავალჟამიერ
ჩვენი სამშობლო იყოს დღეგრძელი!

თვალი ემატოს ჩვენს სავენახოს,
ყანებს — თავთავი ნიაღვარული,
ყველას ოჯახი მუდამ გვენახოს
სავსე სიუხვით და სიყვარულით!

გზას რომ გვინათებს მოყვრის ბინამდე,
სიყვარულია განუყოფელი,
მისი ნათელი რომ არ ბრწყინავდეს,
ბრმა იქნებოდა წუთისოფელი!

ვხარობთ ბრწყინვალე გარემოთი,
და გულგაშლილად ვაღებთ დერეფანს,
ახალ დღესავით სახლში შემოდის
ბედნიერება... ბედნიერება!

თოვს, ხვავრიელად ცვივა ფანტელი,
და იმოსება თეთრად ბუნება,
თოვს, და შეჰხარის დრო წლევანდელი,
ჩვენი ცხოვრების აგუგუნებას.

და ქალ-ვაჟები ზეიმს ხვდებიან,
ეშხით ერთმანეთს გუნდებს ტყორცნიან,
თოვლის გუნდაა თუ მტრედებია,
ბედნიერება მოგვილოცნია!

ქართლის დედების ლხენაც დღეს არის,
შვილებს აკვნებში ტკბილად კოცნიან,
იცოცხლეთ! მრავალ წელს დაესწარით,
მოგვილოცნია! მოგვილოცნია!

ვჰქოთ სიმღერა იმერ-ამიერ,
ვაქოთ, ვადიდოთ ეს დრო, ეს წელი,
მრავალ ახალ წელს, მრავალჟამიერ
ჩვენი ცხოვრება იყოს დღეგრძელი!

# მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობა დამთავრებულია

მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებელთა კოლექტივმა 1956 წლის 30 დეკემბრისათვის დაამთავრა მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს 12.000 ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობის მორწყვას.

მშენებელთა კოლექტივი უკვე გადავიდა მეექვსე ხუთწლედის ობიექტის — საგურამოს სარწყავი სისტემის მშენებლობაზე.

ნ. გაბუნია,
მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობის უფროსი.

# თბილისი—ვლადივოსტოკი, თბომავალ „გრუზიას“ გემბანი

30 დეკემბერს ვლადივოსტოკში დაბრუნდა თბომავალი „გრუზია“, რომელმაც სამშობლოში ჩამოიყვანა XVI საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობათა მონაწილე საბჭოთა სპორტსმენები.

გუშინ „კომუნისტის“ თანამშრომელი ტელეფონით დაუკავშირდა ვლადივოსტოკის ნავსადგურში მდგომ „გრუზიას“. ტელეფონთან მოვიდა თბომავლის კაპიტანი ელიზბარ გოგიტიძე.

გაზეთის მკითხველთა სახელით კაპიტანსა და თბომავლის ეკიპაჟს მივულოცეთ პასუხსაგები ნაოსნობის წარმატებით დამთავრება და მოახლოებული ახალი წელი, ვთხოვეთ ეამბნათ, თუ როგორ ჩაიარა ნაოსნობამ.

კაპიტანმა გოგიტიძემ გვიამბო:

თვრამეტი დღის წინათ „გრუზიამ“ ავსტრალიის დედაქალაქ მელბურნის ნავსადგურიდან მშობლიური ნაპირებისაკენ აიღო კურსი. თბომავალმა საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად წამოიყვანა 90 ჩეხი სპორტსმენი და ბულგარეთის სპორტსმენთა დელეგაციის ჯგუფი. მგზავრთა შორის არიან საქართველოს წარგზავნილებიც.

ოლიმპიადის მონაწილეებმა მხიარული ჟრიამულით აავსეს თბომავლის მოედნები, სალონები და გემბანი. ისინი მხნედ გრძნობენ თავს. ცხელა. გემის საცურაო აუზში გაჩაღდა ცურვა. ყველას დაავიწყდა, რომ სამშობლოში ზამთარია.

თბომავლის ეკიპაჟი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სპორტსმენებს არ მოეწყინათ, რომ წარმატებით დამთავრებულიყო ნაოსნობა. მგზავრებისათვის იმართებოდა კინო, კონცერტები, რომელშიც თვით სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

...ხომალდი მიაპობდა წყლის უნაპირო სივრცეს. შესანიშნავი ამინდები იდგა. ავსტრალიიდან გამოსვლის მეცხრე დღეს „გრუზიამ“ გადაკვეთა ეკვატორი. ეს ფაქტი სათანადო ტრადიციული ზეიმით აღინიშნა. შემდეგ ამინდი გაუარესდა, ოკეანემ იწყო ღელვა, ქაფმორეული ბობოქრობდა. მაგრამ მალე დამშვიდდა. ვიდრე ვლადივოსტოკს მოვადგებოდით, წყლის სივრცეზე სიმშვიდე მეფობდა.

...ორკესტრის საზეიმო ხმაზე და დამხვდურთა შეძახილებში ხომალდი ნელა უახლოვდებოდა ვლადივოსტოკის გემმისადგომს.

გულთბილად და ზეიმით შეხვდა საახალწლოდ მორთული ვლადივოსტოკი გამარჯვებულ სპორტსმენებს, მათ, ვინც სახელოვნად დაიცვეს მშობლიური საბჭოთა ქვეყნის სპორტული ღირსება და ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაიკავეს.

ვაგზლისწინა მოედანზე მიტინგი გაიმართა. იგი გახსნა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. სტეპანოვმა. გამარჯვებულებს მიესალმნენ პარტიის ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტიდან, საწარმოებიდან. საპასუხო სიტყვები წარმოთქვეს ოლიმპიურ თამაშობათა ჩემპიონმა ლატინინამ და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა.

დღეს სპორტსმენები მოსკოვს მიემგზავრებიან.

რამდენიმე საათიც, და ვლადივოსტოკელები 1957 წელს შეხვდებიან. აქ ექვსი საათით ადრე დგება ახალი წელი, ვიდრე საქართველოში. გთხოვთ თბომავალ „გრუზიას“ ეკიპაჟის სახელით მხურვალე საახალწლო მილოცვა გადასცეთ თქვენი გაზეთის მკითხველებს და უსურვოთ მათ ახალი წარმატებები სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

# საქართველოს მრეწველობამ შეასრულა წლიური გეგმა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში შეჯამებული წინასწარი მონაცემებით საქართველოს სსრ მრეწველობამ სამრეწველო წარმოების საერთო პროდუქციის გამოშვების 1956 წლის გეგმა შეასრულა 101 პროცენტით, აქედან რესპუბლიკურმა მრეწველობამ 101,3 პროცენტით.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ წლიური გეგმა შეასრულა — 21 დეკემბერს, საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ — 27 დეკემბერს და სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ — 28 დეკემბერს.

# მემარტენეებთან

31 დეკემბერი. მეფოლადეების მესამე ცვლა შრომითს პოსტზე დგება. — წლის დამამთავრებელ ცვლაში გვიხდება მუშაობა. მოდით, ბიჭებო, დარჩენილი დრო ისე გამოვიყენოთ, რომ შედეგი დასამახსოვრებელი იქნეს! — ეუბნება მეფოლადეებს ცვლის უფროსი ინჟინერი გურამ თავბერიძე.

— წინა ცვლას ყოჩაღად უმუშავია, — ამბობს ინჟინერი, — რვა საათში ხუთი ნადნობი გამოუშვიათ. აქედან 3 ჩქაროსნულია.

მეფოლადეებმა კედელზე გაკრულ გრაფიკს შეხედეს. აბრამ ზარიძის, ზაქარია ყაველაშვილის, ვლადიმერ ჭაბაშვილის, ბორის ივანოვის, პეტრე ბაირამოვისა და სხვა მეფოლადეთა გვარებს გასწვრივ წითელი სამკუთხედები ჩაუმწკრივებიათ ნიშნად ჩქაროსნული ნადნობების გამოშვებისა.

...სამუშაო საათების დაწყებას რამდენიმე წუთი აკლია. მემარტენეთა ერთი ჯგუფი წითელ კუთხეში იყრის თავს. ერთ-ერთ ოთახში დგას ახალი პიანინო, ორი რადიომიმღები „ჩაიკა“, ბაიანი, ტელევიზორი „ავანგარდი“ და ა. შ. თავისუფალ დროს ტელევიზორთან გროვდებიან ისინი და კოლექტიურად უყურებენ ტელეგადაცემებს.

საამქროს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე შიო ქაჯაია მეორე დღეა ურიგებს მუშა-მოსამსახურეებს მოსაწვევებს საღამობალზე დასასწრებად. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულ მარტენის საამქროს კოლექტივს 250 მოსაწვევი ბარათი გამოუგზავნეს.

* * *

დღის 4 საათია. გურამ თავბერიძის ცვლა ღუმელებს იბარებს. ცეცხლთან და ლითონთან შეჯიბრების გადამწყვეტი წუთები დგება.

7 საათსა და 20 წუთზე სადისპეტჩეროში ტელეფონი აწკრიალდა. გადმოსცეს, რომ ახალგაზრდა მეფოლადის ვალერიან კევლიშვილის ბრიგადამ ციცხვში სრულწონიანი ჩქაროსნული ნადნობი გაუშვა.

— დასაწყისი კარგია! — ეუბნება სადისპეტჩეროს ოპერატორი ანა ხაუსტოვა ცვლის უფროსს.

— ბოლო კიდევ უკეთესი იქნება! — ამბობს თავბერიძე მის გასაგონად.

— № 2 ღუმელს ჯართი დროით მიაწოდეთ... № 4 ღუმელი მალე ნადნობს გამოუშვებს, ფოლადსაღნობი არხი მზად იყოს... ამ ღუმელზე გაპიროვნებული მეფოლადის ხელქვეითები № 1 ღუმელს დაახმარეთ... № 5 ღუმელს თხევადი თუჯი მიაწოდეთ! — სადისპეტჩეროს ოპერატორი ზედიზედ გადასცემს ტელეფონით და რადიოთი ცვლის უფროსის განკარგულებებს.



სურათზე: მარტენის საამქროს ცვლის უფროსი გ. თავბერიძე (მარცხნიდან მეორე) ახალი წლის დადგომას ულოცავს მეფოლადეებს (მარცხნიდან მარჯვნივ) ქ. ივანოვს, ი. შევჩენკოს, შ. შუბითიძეს, ს. საყვარელიძეს და ვ. კევლიშვილს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ყოველ ასეთ მითითებას ზედმიწევნითი სიზუსტით ასრულებენ უფროსი მექაზმე სამსონ ლოლიშვილი, უფროსი ჩამომსხმელები შაქრო ბოდოკია, პავლე სედუში, მეარხეები — ალექსანდრე გოგობერიშვილი, ნასყიდა ბეროშვილი, უფროსი მემიქსერე ჩაილ მამედოვი და სხვ.

კედლის საათის ისრები ერთმანეთს უახლოვდებიან შუაღამის მაჩვენებელ ციფრთან. ცვლის მეფოლადეებმა ციცხვში უკანასკნელი ჩქაროსნული ნადნობი ჩაუშვეს. ეს, 1956 წელს განხორციელებული რიცხვით 3.530-ე ჩქაროსნული ნადნობია.

ხიდური ამწე ციცხვთან იძრება და, როგორც თამადა სავსე ჭიქას, ისე სწევს 130 ტონიან, ღუმელიდან გამოშვებული ჯერ კიდევ დაუმშვიდებელი ლითონით სავსე ჭურჭელს.

— ალავერდს თქვენთან ვარ! — გასძახა ამწეს მემანქანემ გიორგი კვირიკაშვილმა ფოლადმსხმელებს და სავსე ციცხვი მათ ბოყვებთან გადააწოდა. — ჩვენი ოჯახის წევრები ახლა დაუსწრებლად გვილოცავენ ახალ წელს. მოდი ჩვენც ამ გოლიათური თასით ვთქვათ 1957 წლის სადღეგრძელო:

— დაე ამ ფოლადივით მტკიცე და გაუტეხელი იყოს საბჭოთა ქვეყანა, მშვიდობა და ხალხთა მეგობრობა.

გ. გელაშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲝ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

### ᲝᲠᲘ ᲙᲐᲡᲙᲐᲓᲘ

1956 წელი რესპუბლიკის ენერგეტიკული მეურნეობის მკვეთრი აღმავლობით აღინიშნა. ამუშავებულ იქნა მთელი რიგი ახალი ჰიდროელექტროსადგურები — ბჟუჟჰესი, გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგური, ტყიბულჰესი, გამოკვლეულ იქნა ახალი სანახშო ველები შაორქვანახშირის საბადოს ზონაში, აღმოჩენილ იქნა მდიდარი ახალი ფენი ახალციხის საბადოში, ამუშავდა რამდენიმე ახალი შახტი და ა. შ.

ამავე წელს რესპუბლიკის ენერგეტიკული ობიექტების სიაში გამოჩნდა ორი ახალი სახელწოდება — რიონის კასკადი და მტკვრის კასკადი. რიონის კასკადის ობიექტებს — რიონჰესსა და გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგურს მალე ახალი ობიექტები შეემატება. ეს იქნება გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგური და კიდევ სხვა სადგურები, რომელთა მშენებლობა მეექვსე ხუთწლედში უნდა გაჩაღდეს.

### 30-ᲑᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ 3,5 ᲗᲕᲔᲨᲘ

საცხოვრებელი სახლების ჩქაროსნულად მშენებლობის ძვირფასი გამოცდილება მიიღეს თბილისელმა ბინათმშენებლებმა. გასულ წელს საბურთალოზე, კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო კორპუსების მეზობლად, სამთვენახევრის განმავლობაში აღმართეს 30-ბინიანი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ეს სახლი ააგო პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა მსხვილი ბლოკებით და დიდგაბარიტიანი პანელებით, რაც ინდუსტრიული წესით იყო დამზადებული. მშენებლობაზე სულ 12 კაცი მუშაობდა. ფაქტიურად ესენი იყვნენ სახლის მემონტაჟენი, ვინაიდან მათ უხდებოდათ არა სპეციალური სამშენებლო სამუშაოების შესრულება, არამედ სამშენებლო დეტალების მონტაჟი. შენობის თვითეული კუბმეტრის მიხედვით დახარჯულია 0,7 კაცდღე.

### ᲡᲐᲜᲐᲝᲡᲜᲝ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲖᲔ

შიშველი და უხალისო, ბეტონის კედლებით შეზღუდული მტკვრის კალაპოტი უკვე სასიამოვნო და სახალისო სანახავი გახდა გასული წლის დასაწყისიდანვე, როგორც კი დაიწყო ორთაჭალჰესის ექსპლოატაცია და მისი კაშხალის ფარებმა გზა გადაუღობეს მოდუღუნე მტკვარს. ახლა მტკვარი და მისი ლამაზი სანაპიროები, განსაკუთრებით კი ჩრდილოვანი პარკები, ზაფხულობით თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილებია. მაგრამ ყველა პირობა იმისათვის, რომ მტკვრის ტალღათა სიგრილეში სიამოვნებით დაესვენათ მშრომელებს, არ იყო. მხოლოდ რამდენიმე ნავი და ერთი კატერი უწევდა მდინარეზე გასეირნების მსურველებს მომსახურებას. ამჟამად ქალაქის ფარგლებში შენდება ორი სანაოსნო სადგური, ორივე ამ სადგურიდან მტკვარზე ნაოსნობა დაიწყება გაზაფხულზე.

### ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის მექანიზებულ ქარხანაში შეუდგნენ ინჟინერ ბ. ალავიძის კონსტრუქციის აგურის მექანიკური დამტვირთავი ახალი ხელსაწყოს დამზადებას. ეს ხელსაწყო კონსტრუქციულად დიდად არ განსხვავდება ამავე ავტორის მიერ შექმნილი და წარმოებაში უკვე დანერგილი ხელსაწყოსაგან, მაგრამ სიმძლავრით ახალი ხელსაწყო მას ორჯერ გადააჭარბებს.

ბ. ალავიძის ახალი ხელსაწყო ერთი ალებით ასწევს და ავტომანქანაზე დატვირთავს 400 ცალი აგურისაგან შემდგარ შტაბელს, ხელსაწყო ავტომანქანის დატვირთვას მოანდომებს მხოლოდ 5 წუთს.

ბ. ალავიძის ხელსაწყო ძვირფასი საჩუქარია აგურის მტვირთავებისათვის.

ᲝᲗᲐᲠ ᲭᲔᲚᲘᲫᲔ

## ᲡᲘᲢᲙᲑᲝ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲜᲣ ᲓᲐᲒᲚᲔᲝᲓᲔᲗ!

მრავალ ახალ წელს ბედნიერება
და სიხარული ნუ დაგლეოდეთ,
ნუ დასტყობოდეს გულს დაბერება,
ოჯახში სითბო მუდამ გელოდეთ.
გადაიქროლებს კიდევ მრავალი
ახალი წელი, როგორც მერანი,
რა გავუკეთე მამულს ახალი —
ვეკითხებოდეთ ჩვენს თავს ყველანი.
ყველაზე დიდი მშვენიერება
არის ნათელი აზრით იარო,
მოუვასს აჩუქო ბედნიერება
და მოძმის ხვედრი გაიზიარო.
მაშ ანათებდეს გულს სიყვარული,
მაშ გვიდღეგრძელოს
მამულ-დედული,
თქვენს ოჯახებში სულ სიხარული
იყოს ჩიტივით დაბუდებული.
მაშ გაგითენდეთ დღე სიმღერებად,
კეთილ სტუმრებსაც მუდამ ელოდეთ,
მრავალ ახალ წელს ბედნიერება,
სიტკბო, მშვიდობა ნუ დაგლეოდეთ!

## „ᲧᲐᲠᲐ-ᲩᲝᲙᲘᲡ“ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ

სულ მალე ორი წელი გახდება მას შემდეგ, რაც სამხრეთ ყაზახეთის ეს ველები პირველად აახმიანეს საქართველოდან ჩამოსულმა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის ახალგაზრდებმა. 1955 წლის თებერვალში საქართველოდან ჩამოსულმა 217 ახალგაზრდამ აქ, ტალდიკურგანის ოლქის 28 გვარდიელის სახელობის რაიონის ამ გაუტეხავ ყამირებზე, მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა ჩამოაყალიბეს და მთელი თავიანთი ახალგაზრდული ენერგიითა და გატაცებით შეეჭიდნენ ოდითგანვე მიძინებულ, აქამდე უნაყოფო მიწას.

საქართველოს წარმოგზავნილებმა, რომლებმაც სახელმწიფოსაგან უახლესი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები მიიღეს, ცუდად როდი იმუშავეს. იქ, სადაც წინათ მშიერი ველი გაწოლილიყო, დღეს ამაყად წამოჭიმულა კეთილმოწყობილი დაბა. იგი ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია, დამყარებულია სატელეფონო კავშირი რაიონულ და საოლქო ცენტრებთან. საბჭოთა მეურნეობაში 4.000 კვადრატული მეტრი მარტო საცხოვრებელი ფართობია აშენებული. აქ თვითეულმა მყუდრო, თბილი ბინა მიიღო. აქვეა მაღაზია, სასადილო, პურის საცხობი, ბოსტნეულ საცავი, მარცვლეულის ორი საწყობი, თვითეული 3.200 ტონა ტევადობისა. 106 ოჯახმა აიშენა ინდივიდუალური სახლები. დაიწყო წყლისა და კანალიზაციის გაყვანა. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, ჩვენთან ბედს არავინ უჩივის.

ჩვენი საბჭოთა მეურნეობა „ყარა-ჩოკი“ არც ისე პატარაა, მარტო მისი სახნავი მიწების ფართობი 23 ათას ჰექტარს აღემატება. 1956 წლის საგაზაფხულო თესვისათვის მთელი მიწა შემოდგომიდანვე მოვამზადეთ. ამის შედეგი იყო, რომ გაზაფხულზე 13 ათას ჰექტარზე თესვა 9 სამუშაო დღეში დავამთავრეთ. შედეგიც, უნდა ითქვას, საარაკო იყო. ვინ არ იცის, გასულ წელს, როგორი მოსავალი მოვიდა ყამირ მიწებზე. ჩვენმა საბჭოთა მეურნეობამაც მარტო მემარცვლეობიდან სამნახევარ მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღო. 21 ათას ხუთას ჰექტარზე ავიღეთ 272 ათასი ცენტნერი ხორბალი, საიდანაც სახელმწიფოს ჩავაბარეთ 1 მილიონ 368 ათასი ფუთი პური.

ყამირ მიწებზე მოსავლის მოყვანისა და აღებისათვის გამართულ ამ დიდ ბრძოლაში საქართველოდან წარმოგზავნილმა მრავალმა ახალგაზრდამ ისახელა თავი, მათ შორის უნდა აგრონომმა ოთარ სუდაძემ, რომელიც დროულად უზრუნველყოფს სამუშაოთა სატრაქტორო ბრიგადებს და ხარისხიანად აფორმებს შესრულებული სამუშაოების მიღებას, ტრაქტორისტებმა ძმებმა ვედერნიკოვებმა, ვლადიმერ სკაჩკოვმა, ყოველდღიურ ნორმას 120-150 პროცენტით რომ ასრულებენ, და ბევრმა სხვამ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ახალი, 1957 წლისათვის ჩვენმა ჭაბუკებმა კიდევ უფრო მეტი მონდომებით მოკიდეს ხელი საქმეს. უკვე დათესილია 11 ათასი ჰექტარი პური, საგაზაფხულო თესვისათვისაც მოხნულია 11 ათასი ჰექტარი მიწა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი.

ახალი წელი ჩვენი ახალგაზრდა საბჭოთა მეურნეობის მკვიდრთათვის ახალი შრომითი წარმატებების, ახალი საქმეების, მიზნების წელია.

ჩვენ გვსურს გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა იცოდნენ, რომ მათი მზიური სამშობლოს წარმოგზავნილები ძალლონეს არ დაიშურებენ ყამირი მიწების ათვისების დიდი, ძნელი და საპატიო საქმისათვის, რომელიც მათ კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, მშობელმა ხალხმა დაავალეს.

**Დ. ᲛᲣᲮᲘᲜᲘ,**
ყაზახეთის სსრ 28 გვარდიელის სახელობის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ყარა-ჩოკის“ დირექტორი.

## ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დასახა საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების დარგში.

ქართველი კინომუშაკები, ისევე როგორც საბჭოთა კინემატოგრაფიის დიადი ოჯახის ღირსეული წევრები, მთელი ძალღონით შეუდგნენ ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციას.

ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში დაიწყო მძაფრი შემობრუნების ახალი ეტაპი. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში გამოშვებული ფილმები, მათი იდეურ-მხატვრული ხარისხითა და საერთო საზოგადოებრივი პოპულარობით ამ შემობრუნების ნათელი სურათია.

ფილმები: „ჭრიჭინა“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „ცისკარა“, „ქართული ბალეტის ოსტატები“, „ორი ოკეანის საიდუმლოება“ და „მაგდანას ლურჯა“ (1954-1955 წლები) წარმოადგენენ პირველ სიტყვას ამ შემობრუნების პირველ ეტაპზე. ამ ფილმებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვეს მაყურებლებში. ისინი დღესაც დიდი წარმატებით მიდის როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთის ეკრანზე.

როგორც ცნობილია, ფილმი „მაგდანას ლურჯა“ დაჯილდოებულ იქნა ორ ფესტივალზე, კანსა და ედინბურგში.

კიდევ უფრო ინტენსიური და ნაყოფიერი გახდა კინოსტუდიის მუშაობა 1956 წელს. გამოშვებულ იქნა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „ეთერის სიმღერა“, „ჩრდილი გზაზე“, „ორი ოკეანის საიდუმლოება“, „ბაში-აჩუკი“, „აბეზარა“, „ჩვენი ეზო“.

მხატვრულ სრულმეტრაჟიან ფილმებთან ერთად კინოსტუდიამ 1956 წლის მანძილზე გამოუშვა კინონარკვევები — „ურღვევი მეგობრობა“, „პამირის მწვერვალებზე“, „კიდევ ერთი იერიში პამირზე“, „საქართველოს სპარტაკიადა“ და სხვ.

როგორც მხატვრული ფილმები, ისე კინონარკვევები ძირითადად აგებულია თანამედროვე თემებზე, წარმოგვიდგენენ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილთა თავდადებულ შრომას. იდეურ აქტუალობასთან ერთად ამ ფილმების უმეტესი ნაწილი მაყურებელმა და პრესამ შეაფასეს როგორც თვალსაჩინო მხატვრული მოვლენა ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში. კარგი გამოხმაურება ჰპოვეს ისტორიულ თემაზე შექმნილმა კინოფილმებმაც.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ასრულებდა აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციების დაკვეთებს მეცნიერულ თემებზე ფილმების დადგმის მიზნით. დაიდგა: „სიმინდის მაღალი მოსავლის მოყვანის გამოცდილება“, „სიგნალები რკინიგზაზე“, „საქართველოს მეჩაიეები“, „საქართველოს ციტრუსები“, „სიმინდის ნაწ[illegible]“ [illegible] ფილმმა კარგი შეფასება მიიღო.

ამჟამად წარმოებაშია მხატვრული ფილმები: „ბედნიერების სათავესთან“ (სცენარი ო. დგებუაძისა და ლ. ხოტივარისა, რეჟისორი ლ. ხოტივარი), „ორი მსახიობი“ (მცირემეტრაჟიანი ფილმი რეჟისორი რ. ჭიაურელი); ნახატი ფილმი „სამოდელკინის თავგადასავალი“ (სცენარი ნ. ბენაშვილისა, რეჟისორი ვ. ბახტაძე), კინონარკვევები „საბჭოთა აფხაზეთი“ (სცენარი მ. ლაკერბაიასი, ა. ლასურიასი და შ. ჩაგუნავასი, რეჟისორი შ. ჩაგუნავა, ოპერატორები ო. დეკანოსიძე, ლ. არზუმანოვი), „კურორტი წყალტუბო“ (სცენარი ნ. ბენაშვილისა, რეჟისორი ვ. ალავიძე, ოპერატორი ნ. ნაგორნი), მეცნიერულ-პოპულარული ფილმი „შემცვლელები მოდიან“ — ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურების შესახებ და სხვ. ეს ფილმები ეკრანზე გამოვა 1957 წელს.

განვლილ პერიოდში (1954-1956 წლები) განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი შემოქმედებითი ძალების დაწინაურება დამოუკიდებელ დადგმებზე (რეჟისორები: თ. აბულაძე, რ. ჩხეიძე, ლ. ხოტივარი, რ. ჭიაურელი, ვ. ვალიშვილი. ოპერატორები: ლ. სუხოვი, ა. ფილიპაშვილი, გ. ჭელიძე, შ. მაჩაიძე და სხვ.), რომელთა შორის ბევრმა უკვე გამოიჩინა თავი როგორც ნიჭიერმა შემოქმედმა.

ამავე პერიოდში როლების ოსტატური შესრულებით მაყურებელთა სიყვარული დაიმსახურეს მსახიობებმა: დ. წეროძემ, ლ. აბაშიძემ, ლ. ელიავამ, დ. ჭიჭინაძემ, მ. თბილელმა, ა. კვანტალიანმა, ე. მაღალაშვილმა, კ. ლაღუშვილმა, ა. ომიაძემ, დ. აბაშიძემ და სხვებმა.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთელი კოლექტივი განსაკუთრებული ინტენსივობით მუშაობს ახალი შემოქმედებითი აღმავლობისათვის მომავალ 1957 წელს.

კინოსტუდიის ნაყოფიერ მუშაობას და წარმატებებს განსაზღვრავს კარგი კინოსცენარები. ამ მიზნით მოწვეული არიან მთელი რიგი კვალიფიციური მწერლები, რომლებიც კინოსტუდიის დაკვეთით მუშაობენ ახალ სცენარებზე 1957 წლისათვის.

გეგმის მიხედვით 1957 წელს გამოშვებულ უნდა იქნას ხუთი მხატვრული სრულმეტრაჟიანი და ორი მცირემეტრაჟიანი ფილმი, ხუთი მხატვრული კინონარკვევი — რვა ნაწილად, ოთხი სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — დაახლოებით 25 ნაწილის მოცულობით, სამი ნახატი ფილმი, 48 კინოჟურნალი.

ეს დიდი გეგმა კინოსტუდიის შემოქმედებითი და ტექნიკური მუშაკებისაგან დაძაბულ მუშაობას მოითხოვს.

1957 წელს საბჭოთა ხალხი იზეიმებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს. მსოფლიოს მშრომელთა ამ საზეიმო დღეს ქართველი კინომუშაკები ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდებიან.

**Ქ. ᲒᲝᲒᲝᲫᲔ.**



კადრები კინოფილმებიდან: „მაგდანას ლურჯა“, „ბაში-აჩუკი“, „ეთერის სიმღერა“ და „აბეზარა“.

## ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ

ძვირფასო მეგობრებო!

გულწრფელად, სულით და გულით გილოცავთ მომავალ ახალ წელს და გისურვებთ საუკეთესო წარმატებებს კეთილშობილურ საქმეში — სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. მას შემდეგ, რაც მოძმე რესპუბლიკების — საქართველოსა და დაღესტნის ორი რაიონის მშრომელებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, ორ წელზე მეტმა განვლო. ეს შეჯიბრება ხალხთა გულითადი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად იქცა.

სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა რაიონის კოლმეურნეობებმა ვადამდე — 1956 წლის პირველი ოქტომბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის პროდუქტების ჩაბარების გეგმა: ხორცისა — 112 პროცენტით, კარაქისა — 110, მატყლისა — 179 პროცენტით. კარაქის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა შესრულებულ იქნა — 274 პროცენტით, მატყლისა — 108 პროცენტით.

განვლილ სამეურნეო წელს რაიონის მეცხოველეებმა მიაღწიეს ახალ წარმატებებს წველადობის გადიდებაში. წველადობა ერთ საფურაჟე ძროხაზე გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 110 კილოგრამით. მატყლის საერთო ნაპარსი 170 ცენტნერით მეტია წინა წელთან შედარებით.

ახალ წელს სულით და გულით გისურვებთ დიდ წარმატებებს თავდადებულ ბრძოლაში პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

მტკიცედ გვჯერა, რომ მომავალ წელს ჩვენი მეგობრობა, რომელიც შეჯიბრებაში იშვა, კიდევ უფრო განმტკიცდება და გაძლიერდება.

**ᲣᲚᲣᲑᲘᲔᲕᲘ**, პარტიის გუნიბის რაიკომის მდივანი. **ᲛᲣᲠᲘᲚᲝᲕᲘ**, რაიაღმასკომის თავმჯდომარე. **ᲛᲣᲡᲐᲔᲕᲘ**, სულრათლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. **ᲘᲡᲚᲐᲛᲝᲕᲘ**, ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. **ᲠᲐᲛᲐᲖᲐᲜᲝᲕᲘ**, ბუხტის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. **ᲐᲖᲘᲖᲝᲕᲘ**, ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. **ᲘᲐᲙᲣᲑᲝᲕᲘ**, ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის მწყემსი. **ᲙᲐᲓᲘᲠᲝᲕᲐ**, ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი. **ᲕᲘᲪᲐᲚᲘᲔᲕᲐ**, სულრათლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.



## ᲐᲡᲔ ᲢᲙᲑᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲘᲑᲔᲠᲓᲘᲗ...

დაილია დეკემბერი. რამდენიმე საათი დარჩა ახალი, 1957 წლის დადგომამდე. გარეთ ყინავს, სიცივე ადრე შემოდგომაზე დაიწყო. თოვლმა კი ახალწლის წინადღეებში წამოუშინა გომბორის ქედს — მთა და ველი დაფარა.

სამოცდახუთ წელს გადაცილებული დიმიტრი ნატროშვილი ახალწლის წინადღის დილით ჩვეულებრივზე ადრე წამოდგა ლოგინიდან. მხრებზე თეთრკრაველშემოვლებული, შაბში გამოყვანილი ცხვრის ტყავის სათბური მოიდო, კარი გააღო, ეზოში გაიხედა, ნეტავი წუხელის თოვლს რამდენი მოემატა, ბიჭი გზაშია, მანქანებს ნამქერი ხომ არ დააკავებსო.

კარის ზღურბლზე შეჩერდა. კოჭამდე დადებულ მშრალ ფიფქზე შვილიშვილები პატარა ვალერი და ციცინო შეამჩნია. ბავშვებს თბილად ეცვათ. მარტო სახეები უჩანდათ. ახალ თოვლზე დარბოდნენ, ყირამალა გადადიოდნენ, ხანდახან გუნდას ერთმანეთს აყრიდნენ. თამაშით გატაცებულ ნორჩებს ახლად მოწყობილი სახლის მაღალი აივნიდან დედა მათი, დიმიტრის რძალი მარგო გადასჩერებოდა.

დიმიტრი აივნისაკენ შეტრიალდა, რძალს მიმართა:

— ჩათმა-იორიდან რა ისმის?

— სადაც არის, გაჩნდებიან. გუშინ შემოთვალეს, ახალწელს შინ გავითენებთო, — მიუგო რძალმა.

მოხუცი ამ პასუხმა დააკმაყოფილა. დერეფნიდან ეზოში გავიდა. ბავშვებს თავზე ხელი გადაუსვა. მერე ფარდულიდან ხმელი, მშრალი შეშა გამოიტანა ღუმელში შესანთებად.

დიმიტრი ჩათმა-იორიდან შვილს, გიორგის მოელოდა. რამდენიმე წლის წინათ გიორგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, ზემომაჩხაანელმა კოლმეურნეებმა საკვებმომპოვებელ ბრიგადას ჩაუყენეს სათავეში. ახალგაზრდისათვის ეს დიდი ნდობა, პატივი და მოვალეობა იყო. მამა დარდობდა, ვაი თუ ვერ გაუძლვეს, ვერ გასწვდესო. მაგრამ მამის სასიხარულოდ გიორგიმ თავგზიანობა გამოიჩინა, დაუზარებლადაც მუშაობდა. ბრიგადირზე საყვედური არავის სმენია. წელს მისმა ბრიგადამ ხუთას ორმოცდათხუთმეტი ჰექტარი ძირხვენები, მარცვალი და ბალახი დათესა, ხუთიათასამდე ტონა საკვები მოიყვანა და მეცხოველეობის ფერმის მახლობლად გადაზიდა.

ყველაზე ძალიან დიმიტრის ის მოსწონდა შვილისა, რომ ივრიდან მინდორში გადმოყვანილი არხის წყალი გამოცდილი მრწყველივით აითვისა, საკვებ ძირხვენებს მიუშვა. და იქ, სადაც წინად ოცი ტონა ბოლქვი ძლივს მოჰყავდათ ჰექტარზე, ზოგან ორმოცდაათ ტონაზე მეტი აიღო.

შვილის ამ წამოწყებასა და მის განხორციელებაში მამა ცხოვრების შნოსა და ლაზათს ამჩნევდა.

ამან თავისი ახალგაზრდობა და ძველი, რევოლუციამდელი ზემო მაჩხაანი გაახსენა.

ვიწრო, დახრამული გზები. ქვით შემოკავებული ოღროჩოღრო ეზოები. ქვიტკირის დაბალი ერთთვალიანი სახლები ვიწრო, უშნო სარკმლებით.

თითო-ოროლას თუ ედგა ისეთი სახლი, როგორიც ახლა ყოველ რიგითს კოლმეურნეს უდგას. ახსოვს და როგორ დაავიწყდება: მამისაგან ერთთვალიანი ქვიტკირის შენობა მიიღო მემკვიდრეობად.

საბალე-სავენახე მიწები, ქვემოთ ხირსის ველის მახლობლად, ბობოლების საკუთრება იყო. ცხვარიც მათ ჰყავდათ და ძროხაც.

ახლად დაცოლშვილებული დიმიტრი სიცოცხლის ნახევარზე მეტი სხვის ცხვარში, ძროხაში, მინდორში მუშაობდა, რათა დამოუკიდებელი ცხოვრება დაეწყო.

მთაზე გაშენებულ მათ სოფელს სასმელი წყალიც კი არ ჰქონდა.

დადგებოდა ახალი წელი. ვინც შორეულ საძოვრებიდან შინ მშვიდობით მოატანდა, ბედის მომდურავი, გატეხილი გულით მიუჯდებოდა სუფრას. იმიტომ რომ საამური მოსაგონარი, სასიხარულო არა ჰქონდათ რა და მომავალი კარგს არაფერს უქადდათ.

ახლა დიმიტრი მისჩერებია ზემო მაჩხაანს და ფიქრობს: მომხდარიყო სასწაული, დასძინებოდა იმ დროში, გამოღვიძებოდა დღეს — ძველი საყდრის გარდა ველარაფერს იცნობდა, გზაკვალს ვერ გაიგნებდა. იტყოდა: ეს ჩემი სოფელი არ არის, სხვაგან ვარო.

განვლილ ოციოდე წელიწადში საკოლმეურნეო ცხოვრებამ ზემო მაჩხაანს მთლად შეუცვალა სახე.

სადღაა უშნო ქვიტკირები. ახალგაზრდობა საშუალო და დაწყებით სკოლებში დაიარება აქვე, მათ კარზე. დიმიტრისაც დაუდის სკოლაში შვილიშვილები.

გაფართოებულ, ხრეშმოყრილ ქუჩებში ავტომობილები დასრიალებენ.

სოფელში ყოველ ნაბიჯზე წინ აგეშოტება ორსართულიანი, შუშაბანდით დამშვენებული, ცისფრად შეღებილი აგურ-ქვიტკირის სახლი, რომლისთანა წინათ დიმიტრის სიღნაღში თუ ენახა, ისიც ერთეული.

სამოცი კილომეტრის ხიშორიდან, წითელწყაროს მთებიდან ფოლადის მილებით გამოყვანილი წყაროს წყალი ონკანებით მოჩქეფს ყოველ ორმოცდაათ ნაბიჯზე.

წავიდა, წარსულს ჩაბარდა გლეხის დუხჭირი ცხოვრება. ახლა საშიში მხოლოდ ის არის, რომ ადამიანი ბუნებით არ გამოვიდეს უქნარა და უუნარო. დატრიალდეს, შრომაში ჩაებას, საამურად იცხოვროს. აი თუნდაც ისე, როგორც მისი გიორგი მოიქცა.

გიორგი ცალკე სამოსახლოზე გავიდა. დაბარა მიწა. ხეხილი ჩაყარა. მერე სახლის აგებას ეკვეთა. აგურ-ქვიტკირის კედლები ამოიყვანა ძველი კაკლის წვერომდე. მალე გადახურა. ნელნელა შიგნითაც მოაწყო. კარ-ფანჯარას, იატაკს და ჭერს ფიჭვის საამური სუნი უდის.

ხანდახან მამა შევა სახლში. დიდხანს მისჩერებია რძლის შნოიანად დალაგებულ რკინის საწოლებს, ხუფთა, ქათქათა ქვეშაგებ-საბურავს, ზედ დახორავებულ ბალიშებს. მერე მეორე ოთახში გამოვა, სადაც ვალერი და ციცინო გაკვეთილებს ამზადებენ. ფრთხილად გადადგამს ფეხს, ბავშვებს ხელი არ შევუშალოო... დააცქერდება ათასნაირი ფაიფურის ჭურჭლით სავსე შუშებიან კარადას.

იქიდან ბავშვების საწოლ პატარა ოთახსაც გაუვლის, თვალს გადაჰკრავს და ქვედა სართულში ჩადის.

იქ არის მარგო მისი რძალი. ქალი საახალწლოდ ემზადება. ინდაური იხარშება. ვაშლი, ლეღვის ჩირი, თონიდან ახლად ამოყრილი შოთები მზად არის მეორე სართულზე გაშლილ სუფრაზე შემოსატანად.

ახლა რძალი ნიგვზის ლებნებს თხლად ჭრის საგოზინაყედ. შინაური თაფლიც იქ უდგას ქილით. აგერ გიორგიც მოდის ჩათმა-იორიდან. ეზოში შემოვიდა. ცოლი და ქმარი ერთმანეთს მიეგებნენ. გიორგის პარიკმახერთან პირის გაპარსვაც კი მოუსწრია.

მაგრამ ქუჩიდან ხმა ისმის.

— გიორგი, ჰა, გიორგი! ქალო, მარგო, შენ მაინც არა ხარ შინ?

— აქ ვართ! — ეხმაურება დიმიტრი. — გიორგიც ეს არის მოვიდა!

ჭიშკარი იღება და ეზოში შემოდის ნიკოლოზ მამაიაშვილი. საყვედურებით იკლებს გიორგის:

— კაცო, კანტორაში შემოხვიდოდი ერთ წუთს!

— ტანთ გამოვიცვლი-მეთქი და მოვდიოდი, — მიუგებს გიორგი.

— იქ საქმე როგორ არის?

— ნაადრი დოლი დაიწყო. ბატკნები გაჩნდნენ.

— ძროხებმაც ხბოები მოიგეს, — ეუბნება ნიკოლოზი. ნიკოლოზი ეზოში მიდი-მოდის დიმიტრისთან ერთად. მათ გიორგიც უერთდება.

— მოასწარი შინ საახალწლოდ მოსვლა? — რაღაც კმაყოფილებით და შექეზებით მიმართავს გიორგის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

— მაშ როგორ! — მიუგებს გიორგი. — ხვალ არ გადავხედო აქეთ ალაზანს, იქით იორს, ამას როგორ ვიზამ.

— მართლა, წელს კარგად გერგო შრომადღეებზე! იცოდე გაისად წლევანდელს უნდა ვაჯობოთ. ჯერ ხომ არ ამოგიტანია? — ეკითხება ნიკოლოზი.

— როგორ არა, ხუთი ტონა ხორბალი უკვე ამოვიტანე. ღვინო, ყველი, ერბო, კარაქიც წამოვიღე კუთვნილი. გაისიც ამაღამ დადგება.

— ცოტაა, ცოტა! ამას მომავალ წელს არ გაპატიებ.

— ჩემი სახლიდან ერთი მუშა ვარ, — იმართლებს თავს გიორგი.

— მაინც ცოტაა!

— ოცდარვაათასი ჰექტარი ტყე, მთა და მინდორი გვაქვს, — განაგრძობს გიორგი საუბარს დიმიტრისთან, — შირაქსა და თელაწყალზე ექვსი ათასი ჰექტარი მარტო პური გვეთესა. არ ვლაპარაკობ სიმინდსა და სხვა მარცვლეულზე. ფერმებში ათასსამასი სული მეწველი, ჯიშიანი ძროხა გვიბია ბაგაზე. ათას ას ორმოცდაათი სული კამეჩი გვყავს. გარდა ამისა, მუშა და სახორცე საქონელი, ღორი, ფრინველი, ცხენები. ოცდაოთხი ათასი სული ცხვარი გვიდგას ჩათმა-იორზე.

ამას ვახვედრებთ ახალ წელს. მომავალში კიდევ ვნახავთ როგორ ვიმუშავებთ!

— შინ მობრძანდით, სადაც არის, დაღამდება! — ეპატიჟება ყველას მარგო და ქმრისაკენ იხედება. — ქორივით მოვარდა ჩათმა-იორიდან, ღვინო სწყურია კაცს.

— რაკილა გიორგიმ კარგი ამბავი მომიტანა, ახლა შინ შემოსვლას დამეხსენით. საახალწლო სუფრის გასაწყობს კი არას წაავლოთ ხელი. ხვალ გესტუმრებით და თქვენც მობრძანდით! — მიუგებს მარგოს თავმჯდომარე და მიდის შინისაკენ. მას თან მიჰყვება გიორგი.

...ღამდება. მარგო სუფრას ზედიზედ უმატებს ხორაგს და ხილს. ყველა ჭურჭელი სავსეა. კედლის საათზე თორმეტის შესრულებას რამდენიმე წუთი აკლია. ჩართულია რადიო. უკანასკნელად მარგომ ლანგრით ოთხკუთხად დაჭრილი გოზინაყი და ჩურჩხელები შემოდგა სუფრაზე. გიორგიც ამოდის კიბეებზე. მას ღვინით სავსე სველი ხელადები შემოაქვს.

მაგიდასთან დგანან ვალერი და ციცინო, მერე დიმიტრი და გიორგი. მარგოს ხელში უჭირავს გოზინაყი. უეცრად რადიოს ხმა ისმის.

— გილოცავთ ახალ წელს!

— მეც გილოცავთ! — ამბობს მარგო, — მიცოცხლოს თქვენი თავი, — ეუბნება შვილებს, ქმარსა და მამამთილს და სათითაოდ ურიგებს გოზინაყს, — ასე ტკბილად დამიბერდით!

**ᲑᲝᲠᲘᲡ ᲮᲔᲘᲫᲔ.**

* * *

**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნე გიორგი ნატროშვილის ოჯახი.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში



პეკინი, 28 დეკემბერი. (საკდესი). ჩინელი ხალხი მტკიცედ მიდის წინ მძლავრ ინდუსტრიულ სოციალისტურ სახელმწიფოდ თავისი სამშობლოს გადაქცევის გზით. როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, პირველი ხუთწლედის გასულ ოთხ წელს ჩინეთში საექსპლოატაციოდ გადაეცა 33 დიდი მანქანათმშენებელი ქარხანა.

ამ საწარმოთა ამუშავების შემდეგ ჩინეთმა დაიწყო ავტომანქანების, გემების, დიდი ჩარხების, საშუალო და დიდი ელექტროგენერატორების, ზუსტი ხელსაწყოების და საფეიქრო მრეწველობის მთელი მოწყობილობის წარმოება.

ჩინეთის სახალხო მეურნეობამ პირველად მიიღო სამამულო წარმოების სატვირთო ავტომობილები. პირველი საავტომობილო ქარხანა ჩანჩუნში წელიწადში გამოუშვებს 30 ათას ავტომანქანას.

იმ ქარხნებს შორის, რომლებიც მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგნენ, არის ქვაბების, ელექტროხელსაწყოების წარმოების, ელექტროკაბელისა და მავთულის, შიდაწვის ძრავების, ცვალებადი დენის გენერატორების, ორთქლის ძრავების, განმანაწილებელი ფარების ქარხნები.

ექვსი ქარხანა, რომლებიც უკანასკნელ დროს გადაეცა საექსპლოატაციოდ, ამზადებს მოწყობილობასა და მექანიზმებს სამთო მრეწველობისათვის.

ჩინეთის საფეიქრო მანქანათმშენებლობის ერთ-ერთ უდიდეს ქარხანას შეუძლია ახლა წელიწადში გამოუშვას 500 ათასი თითისტარი. თუ განთავისუფლებამდე ჩინეთი იძულებული იყო საფეიქრო მრეწველობის მთელი მოწყობილობა უცხოეთიდან შემოეტანა, ახლა არსებული ქარხნები არათუ აკმაყოფილებენ ჩინეთის საფეიქრო მრეწველობის მოთხოვნილებას, არამედ თავიანთი პროდუქცია კიდევაც გააქვთ საზღვარგარეთ.

* * *

სურათზე: ქ. დალნის ორთქლმავალ-ვაგონსაშენებლო ქარხნის მიერ გამოშვებული ახალი ტიპის მძლავრი ლოკომოტივი.

ფოტო ძი ჩენ-პინისა. (სინხუას სააგენტო).

## სოციალისტური ქვეყნების დახმარება უნგრელი მშრომელებისადმი

ბუდაპეშტი, 29 დეკემბერი. (საკდესი). სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხები კვლავ უწევენ დახმარებას უნგრეთის მშრომელებს. ყოველდღე უნგრეთის სასაზღვრო სადგურებში ჩამოდის ასობით ვაგონი ტვირთებით საბჭოთა კავშირიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, რუმინეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. პრესის ცნობებით, დღემდე უნგრეთში ჩამოვიდა 4.600-ზე მეტი ვაგონი მარტო საშენი მასალებით. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე დახმარება სამრეწველო საქონლით. მაგალითად, საბჭოთა კავშირიდან გზავნიან მოტოციკლეტსა და ველოსიპედებს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და ჩეხოსლოვაკიიდან — დიდძალ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს. ფაიფურისა და მინის ბევრი ნაწარმი შემოტანილია პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან. რუმინეთმა უნგრეთში გამოგზავნა 3 ათასზე მეტი ვაგონი ნავთობპროდუქტები, ხე-ტყის მასალები, ცემენტი, მინა, მედიკამენტები.

მეგობრული ქვეყნების ძმური დახმარების მეოხებით უნგრეთი არ განიცდის სამრეწველო და სასურსათო საქონლის, აგრეთვე იმ მასალების მწვავე ნაკლებობას, რომლებიც საჭიროა დაზიანებული შენობების აღსადგენად.

## პორტ-საიდში ცხოვრება კალაპოტში დგება

პორტ-საიდი, 29 დეკემბერი. (საკდესი). აქ დაიწყო ნანგრევებისაგან ქუჩების გაწმენდა და ინგლისელი და ფრანგი აგრესორების მიერ ბარბაროსული დაბომბვით და არტილერიის დაშენით დაზარალებული შენობების აღდგენა. ქალაქის აღდგენაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მისი მოსახლეობა.

პორტ-საიდში ჩამოვიდა ეგვიპტის მთავრობის მინისტრების ჯგუფი, რათა ადგილობრივ ხელისუფლებთან განიხილონ ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას ქალაქის უსწრაფესად აღდგენისა და მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის ყოველივე იმით, რაც საჭიროა. გუშინ პორტ-საიდის მუნიციპალიტეტში გაიმართა თათბირი მინისტრების მონაწილეობით, რომელზეც განიხილეს აღდგენის სამუშაოთა პროგრამა.

როგორც ცნობილი გახდა, მუშაობის პირველ ეტაპზე აშენდება 217 სახლი, რომლებშიც 3 ათასამდე ბინა იქნება. ამ სახლებში შეასახლებენ ქალაქის იმ მცხოვრებთ, რომელთა ბინები ინგლისელმა და ფრანგმა აგრესორებმა დაანგრიეს. პორტ-საიდის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ბაღდადიმ განკარგულება გასცა დაუყოვნებლივ დაიწყონ დამპყრობთა მიერ დაზარალებული 220 სახლის აღდგენის სამუშაოები. ეს სამუშაოები სამი კვირის განმავლობაში უნდა დამთავრდეს.

გუშინ პორტ-საიდში გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბევრმა ქალმა, რომელთა ქმრები და შვილები ინგლისელი და ფრანგი დამპყრობლების ხელით დაიღუპნენ. დემონსტრაციის მონაწილეებს მოჰქონდათ პლაკატები, რომლებზეც ეწერა მოწოდებანი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. პორტ-საიდის მცხოვრებთა განწყობილება გამოთქვა ახალგაზრდა ეგვიპტელმა ნაბიბ ბადრმა, რომელმაც თქვა: „აგრესორები იძულებული გახდნენ წასულიყვნენ პორტ-საიდიდან. ვერავითარი ძალა ვერ გატეხს ხალხის მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი".

იმავე დღეს პორტ-საიდის გუბერნატორის შენობის წინ, რომელიც ინტერვენტებმა დაანგრიეს, გაიმართა გუბერნატორ მუჰამედ რიადისათვის იორდანიის „აღორძინების" მედლის გადაცემის ცერემონია. ამ მედლით დაჯილდოებულია პორტ-საიდი მის დამცველთა დიდი პატრიოტიზმისა და გმირობის აღიარების ნიშნად. ორდენის გადასაცემად პორტ-საიდში ჩამოვიდა იორდანიის მთავრობის დელეგაცია მეფის კანცელარიის უფროსის ტალხუნის მეთაურობით. ცერემონიას დაესწრნენ ეგვიპტის მთავრობის წევრები. მუჰამედ რიადმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა სიმტკიცე და მამაცობა, რაც პორტ-საიდის მცხოვრებლებმა გამოიჩინეს ინგლისელ და ფრანგ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

## ადამიანის ბედი კაპიტალისტურ ინგლისში

ლონდონი, 29 დეკემბერი. (საკდესი). პრესა იუწყება, რომ გუშინ ინგლისის ქალაქ ჩიჩესტერში ყოფილმა მასწავლებელმა ლეგემ სასოწარკვეთილების დროს ტყვიით მოკლა თავისი ცოლი და სამი პატარა შვილი, რის შემდეგ თავი მოიკლა.

ლეგეს მიერ დატოვებულ ბარათში ნათქვამია, რომ მან ველარ მოითმინა „ის საშინელი პირობები", რომლებშიც მოუხდა ცხოვრება მას და მის ოჯახს. აფრიკიდან რომ დაბრუნდა, სადაც მასწავლებლად მუშაობდა 17 წელიწადს, ლეგე დიდ სიძნელეებს შეხვდა ინგლისში. კერძოდ, ბინის უქონლობის გამო ოჯახიანად ცხოვრება მოუხდა ავტომობილის პატარა მისაბმელში. ყოველივე ამასთან ერთად ამა წლის ოქტომბერში ლეგემ სამუშაო დაკარგა.

## ვ. ვ. კუზნეცოვის საუბარი დ. ჰამარშელდთან

ნიუ-იორკი, 29 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიაზე ვ. ვ. კუზნეცოვი შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დ. ჰამარშელდს და ესაუბრა გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე ი. ს. ჩერნიშევი.

## ქ. პინოს გამოსვლა

პარიზი, 29 დეკემბერი. (საკდესი). საგარეო საქმეთა მინისტრმა კრისტიან პინომ გუშინ გააკეთა განცხადება, რომელიც რადიოთი გადასცეს. პინომ ილაპარაკა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაზე 1956 წელს, შეაჯამა რა ამრიგად საფრანგეთის დიპლომატიის განვლილი წლის საქმიანობის შედეგები. პინოს გამოსვლას ახასიათებდა ისეთი სულისკვეთება, რომელიც სრულიადაც არ უწყობს ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. იგი შეიცავდა გამოხდომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პინომ განაცხადა, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში 1956 წელს უნდა აღინიშნოს ოთხი „მთავარი მომენტი": 1) ჩრდილოეთი აფრიკა, 2) ახლო აღმოსავლეთი, 3) უნგრეთი, 4) გაერთიანებული ევროპის შექმნა. შეეხო რა პირველ ორ პუნქტს, პინო ამართლებდა კოლონიურ ომს ალჟირში და აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ იმ არგუმენტების საშუალებით, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა საქმის ნამდვილ მდგომარეობასთან. მისი მტკიცებიდან გამოდიოდა, რომ ისრაელი, საფრანგეთი და ინგლისი, რომლებიც თავს დაესხნენ ეგვიპტეს, თითქოს ხელმძღვანელობდნენ მისწრაფებით „თავიდან აეცილებინათ საფრთხე რუსეთ-ეგვიპტის მხრივ".

როგორც პინოს განცხადებიდან ჩანს, საფრანგეთის მმართველი წრეების პოზიცია ეგრეთწოდებულ უნგრეთის საკითხში იგივეა, რაც უნგრელ კონტრრევოლუციონერ მეამბოხეთა დანაშაულებრივი მოქმედებისათვის მხარდაჭერა. პინოს სიტყვებში გაისმოდა მწუხარება იმის გამო, რომ ჩაიფუშა ამბოხება უნგრეთში.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი პინომ მიუძღვნა ეგრეთწოდებული „გაერთიანებული ევროპის" შექმნის გეგმებს. იმოწმებდა რა მითიურ „საფრთხეს", რომელიც თითქოს მოელის დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, პინო მოუწოდებდა მათ გააერთიანონ თავიანთი რესურსები და შექმნან „ევროპის თანამშრომლობის" ინსტიტუტები.

## წლიური გეგმა ვადამდე შესრულდა

პრაღა, 28 დეკემბერი. (საკდესი). პრაღის რადიომ გამოაცხადა, რომ 27 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიის ქვანახშირის მრეწველობამ შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა.

ვადამდე შესრულდა ელექტროენერგიის წარმოების გეგმა.

საავტომობილო მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომაც გამოაცხადა, რომ შესრულებულია წლიური გეგმა.



ამ სურათზე აღბეჭდილი არიან ბედნიერი პაპა და ბედნიერი შვილიშვილი. პაპა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ძველი მუშა დავით ამირანაშვილია; 35 წელია რაც იგი ზეინკლად მუშაობს, და პატიოსანი, უმწიკვლო შრომით ქარხნის კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

შვილიშვილი პირველკლასელი, ხუთოსანი პატარა ნანაა. საახალწლო ნაძვისხის მორთვა და მოკაზმვა წელს თვითონ ნანამ ისურვა, მაგრამ პატარა რომ არის, და ნაძვისხე კი მეტად მაღალი?! — აქ პაპას მოშველება შეიქნა საჭირო. პაპამ მხრებზე შეისვა ნანა. გაჩაღდა ნაძვისხის მორთვა...

საახალწლო სიხარული დგას დავით ამირანაშვილის, ისევე როგორც მილიონობით საბჭოთა ადამიანის ოჯახში!

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

## საახალწლო ნაძვისხესთან

მოსწავლეთა არდადეგების პირველი დღე — 30 დეკემბერი. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე მორთულია საზეიმოდ. შესასვლელში თოვლის ბაბუას დიდი სურათი გამვლელებს აუწყებს, რომ აქ იმართება ბავშვთა ტრადიციული საახალწლო დღესასწაული.

ზღაპრულად გამოიყურება სასახლის შიგნით მარმარილოს კიბე, რომელზეც ერთიმეორეს უსწრებენ კოხტად ჩაცმული გოგონები და ბიჭები. საზეიმოდ ჟღერს მოსწავლეებისაგან შემდგარი სასახლის ორკესტრი. ნორჩ სტუმრებს კიბეზე ეგებებიან ხალხური ზღაპრების გმირები, მრავალნაირი ყვავილების კოსტიუმებით გამოწყობილი ბავშვები. ყველგან გაისმის პატარების მხიარული ჟრიამული. ახლა მთელი სასახლის დარბაზები მათ განკარგულებაშია. ყველა ოთახში მოწყობილია პატარ-პატარა ნაძვის ხეები. მოსწავლეებმა, რომლებიც აქ ხშირად ყოფილან, მაგალითად, ვერც კი იცნეს გონივრული გართობის კაბინეტი, ისე არის იგი მორთული. ამ ოთახში ნაძვისხე მაღაზიაში ნაყიდი სათამაშოებით კი არ არის გაწყობილი, არამედ ისინი სასახლის ხელმარჯვეთა წრის წევრების მიერ არის დამზადებული.

საღამოს 5 საათია. ყველანი შედიან დიდ დარბაზში. სცენაზე გამოჩნდნენ პატარებთან სტუმრად მოსული პოეტი ი. ნონეშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქ. სიხარულიძე, ცნობილი მწველავი ქალი ნ. ქაჯაია, გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობი ი. რუსინოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. პაიჭაძე და მ. ჯუღელი და სხვები. სტუმრები გულთბილად ულოცავენ პატარებს ახალ წელს, უსურვებენ წარმატებას სწავლაში.

სინათლე ჩაქრა. იწყება სადღესასწაულო სპექტაკლი, რომელშიც მონაწილეობას იღებს სასახლესთან არსებული მოსწავლეთა თოჯინების თეატრი.

გათავდა წარმოდგენა. დაბნელებული სცენის სიღრმეში გამოჩნდა თოვლის ბაბუა. ბავშვები მხიარული ჟრიამულით შეხვდნენ მის გამოჩენას. მაგრამ ბაბუა მეტად შეწუხებულია. მას ტყეში გზა დაბნევია. ის ეძებს სარკეებიან დარბაზს. ბავშვები ხალისით ასწავლიან გზას.

აი თურმე რისთვის ეძებდა თოვლის ბაბუა სარკეებიან დარბაზს. ნახევრად სიბნელეში მოჩანს ჭერამდე ამართული ტყის მშვენიერება — ნაძვისხე. მისი ფართოდ გაშლილი მწვანე ტოტები შემკობილია ათასფერი ბრწყინვალე სათამაშოებით, ბურთებითა და ელნათურებით.

საახალწლო ზეიმს ხსნიან ფრინველებად გამოწყობილი პატარა გოგონები, რომლებიც ცეკვავენ ნაძვისხის გარშემო.

— მასხარა, მასხარა, — მხიარულად მიეგებნენ ბავშვები მათთვის ცნობილ ცირკის მსახიობს ფ. ლავროვს.

ბავშვთა შეკრული წრე გარშემო უვლის ნაძვისხეს. თოვლის ბაბუასთან ერთად ბავშვები მღერიან და ცეკვავენ. თავიანთ ხელოვნებას გვიჩვენებენ სასახლის ნორჩი მომღერლები, მოცეკვავენი, დეკლამატორები.

დიდხანს გრძელდება ნორჩების ზეიმი. დასასრულ თოვლის ბაბუა ბავშვებს ურიგებს საახალწლო საჩუქრებს.

— მრავალ ახალ წელს დაესწარით, ჩემო მეგობრებო, — ეუბნება თოვლის ბაბუა ბავშვებს.

ლ. ხუბულური.

## ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ივანე თევდორეს-ძე თევოსიანი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად იაპონიაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ი. თ. თევოსიანი იაპონიაში სსრ კავშირის ელჩად მისი დანიშვნის გამო გაათავისუფლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

## საახალწლო მეგობრული შარჟები



მრავალ ახალ წელს! იდიდოს
თქვენი მარჯვენის ბარაქამ,
დე ჰქუხდეს თქვენი სახელი
ყველგან — სოფლად თუ ქალაქად.

სალამი, გამობრძმედილო
რუსთავის ბრძმედის ქურაში,
არასდროს შეგირცხვენია
კაცის სიტყვა და ულვაში.

აბა რათ გვინდა ვაჟკაცი
ხალხის და ქვეყნის ურგები,
გვიმრავლოს, შინჯიკაშვილო,
შენსავით მეტალურგები!

აკაკი ბელიაშვილმა
შენს გვერდით მხრები გაშალა,
იმდენს წერს მეტალურგებზე, —
უკვე მელანიც დამშრალა...

სურს სამელნეში ჩაასხას
ფოლადი თქვენგან დამდნარი,
რომ ფოლადივით „რუსთავიც"
იყოს გამძლე და მაგარი.

აგერ მელბურნის გმირებიც
დაბრუნებულან დიდებით.

სალამი, სპორტის ოსტატნო,
წინ რომ მიდიხართ, იზრდებით...

ზის დვალიშვილი ნადედა —
მძლეოსანთ მოჭირნახულე;
ოლიმპიური სიმშვიდით
სამშობლოს სივრცეს გაჰყურებს...

გვახარიას და ნიკიტინს
ჰხედავთ? ეტლს ხელი დასტაცეს
და მოჰყავთ გამარჯვებული
თვით გამარჯვებულ ვაჟკაცებს!

ძირს რვა მედალი აწყვია
გამარჯვებათა დასტურად,
ქართველ სპორტსმენთა დიდებამ
მელბურნის ზეემდე გასცურა!

სალამი მოჭიდავეებს,
სახე აქვთ გაბრწყინებული,
ორს ერგო ოქროს მედალი, —
გაოცდა მთელი მელბურნი.

ეს გივი კარტოზიაა,
მსოფლიო ფალავანია,
ბეჭი აქვს ფართო ისეთი,
ვით მცხეთის გალავანია...

ერთიც ცალქალამანიძე,
ვით აქოს ჩემმა კალამმა...
ცა ქუდად არ მიაჩნია
და დედამიწა ქალამნად...

დღეს სინამდვილედ ქცეულა,
რასაც ფიქრობდნენ ოცნებით,
ორივეს ცამდე ისვრიან
ბრინჯაოს მედალოსნები.

ყველგან გაითქვა, გავარდა,
როგორც ამაყად სათქმელი,
ძნელაძის, ბალავაძის და
გოგი სხირტლაძის სახელი.

აბულაძეს და ჩხეიძეს —
„მაგდანას ლურჯას" დამდგმელებს —
ახალწლის დღესასწაულზე
მაგდანას ბედი აღელვებთ:

— დამშვიდდი, ლურჯა წაგართვით,
მაგრამ უკეთესს იპოვნი,
ხომ მოგიტანეთ კანიდან
პირველ ხარისხის დიპლომი...

მივუძღვნათ წრფელი სალამი
კოლმეურნეთა მარჯვენას,
ვინც გაახარა სამშობლო
და თავდადება გვაჩვენა!

ჩვენ ვართ მეხბულე ბალაძის
დიდი გმირობის მხილველი,
ის, ბათუმელი მწველავი,
გახდა საქვეყნოდ პირველი...

აი სიმინდის ოსტატიც
მხატვარმა აქვე დახატა, —
მან კოლექტივის ცხოვრება
დოვლათიანი გახადა.

მან ივაჟკაცა, ბეღლები
მარცვლის ხვავით რომ აივსო...
მას იცნობს მთელი ბოლნისი,
საქართველომაც გაიცნოს:

ელგუჯა ჯაფარიძეა, —
მისი სახელი გაითქვას
და, ვით სიმინდის ძირებმა,
ხალხში ფესვები გაიდგას!

სტეფანე არღუნელი.

* * *

ნახატები გიგლა ფირცხალავასი.


### დ ღ ე ს
### თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ექიმი აიბოლიტი (დილას), წეთო და კოტე (საღამოს), რუსთაველის სახელობის — ფილოსოფიის დოქტორი, მარჯანიშვილის სახელობის—სამი ბულბულის ქუჩა № 17 (დილა-საღამოს), გრიბოედოვის სახელობის—საუცხოო შენადნობი (დილა-საღამოს), სომხური დრამის—საიათნოვა, მუსიკალური კომედიის — ახალი სიმღერა (დილას), სამი პატარძალი (საღამოს), მოზარდ მაყურებელთა რუსული — კომბლე (12 ს., 4 ს. და 30 წ.).

### კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი— ვენა ცეკვავს, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, თბილისი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — მუნა, კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი— ვინ არის იგი?, კომკავშირელი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის ცენტრალური სახლი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი — ბაში-აჩუკი, დიდუბე, კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი — აბეზარა.

### თბილისის სახელმწიფო ცირკი
### ყ ო ვ ე ლ დ ღ ე

დიდი საცირკო წარმოდგენა
რსფსრ სახალხო არტისტი
**ვლადიმერ დუროვი**
თავისი ოთხფეხა მეგობარ ცხოველებით
რსფსრ დამსახურებული არტისტები
**დები კოხები**
და ახლად ჩამოსული მსახიობების მონაწილეობით
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

1 იანვრიდან 10 იანვრამდე
**ყოველდღე 2 საბავშვო წარმოდგენა**
საზამთრო არდადეგების დღეებში
**საახალწლო ნაძვისხე**
ბავშვთათვის სპეციალური პროგრამით
სახალხო არტისტი
ვლადიმერ დუროვი
დამსახურებული არტისტები
დები კოხები
დიდი საცირკო პროგრამა
დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.
მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე, წინასწარი ბილეთების შეძენა საცირკის სალაროებში.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 07191 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.